



“Silk TV”–ს პაკეტის გაზრდისა და შემცირების წესები და პირობები

1. თქვენ (აბონენტი) საშუალება გაქვთ “Silk TV”–ს მენიუში, სატელევიზიო არხების ჩამონათვალში, ნახოთ ყველა ის არხი, რომელსაც გთავაზობთ “Silk TV”, მაგრამ არ გაქვთ გააქტიურებული თქვენს მიერ არჩეული პაკეტის ფარგლებში. არხები, რომლებიც არ გაქვთ გააქტიურებული, “Silk TV”–ს მენიუში არის ჩამქრალი და ჩანს განსხვავებული ფერით.
2. თქვენ (აბონენტი) შეგიძლიათ ნებისმიერ დროს გაზარდოთ არჩეული პაკეტი და დაიმატოთ თემატური პაკეტები. აღნიშნული ფუნქციის გამოყენება, რაოდენობრივად არ არის შეზღუდული.
3. არჩეული პაკეტის გაზრდა, ანუ იმ პაკეტის შექმნა, რომელიც მოიცავს თქვენს სასურველ არხს/არხებს, შესაძლებელია PIN კოდის ჩაწერით/შეყვანით “Silk TV”–ს მენიუს შესაბამის ველში. ამასთან, თქვენს მიერ PIN კოდის მიღება, შესაძლებელია სმს–ით იგივე წესით, როგორც “Silk TV”–ს ვიდეოთეკით (VOD) სარგებლობისას.
4. არჩეული პაკეტის შემცირება, შესაძლებელია მხოლოდ “სილქნეტის” ქოლ – ცენტრში დარეკვით და პერსონალური კოდის დასახელებით. ამასთან, უკვე შემცირებული პაკეტის ყოველი მომდევნო შემცირება, შესაძლებელია ბოლო შემცირებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლის შემდგომ.
5. არჩეული პაკეტის გაზრდის მიზნით, თქვენს მიერ PIN კოდის შეყვანა, ან არჩეული პაკეტის შემცირების მიზნით “სილქნეტის” ქოლ – ცენტრში დარეკვა და პერსონალური კოდის დასახელება, ნიშნავს რომ იცნობთ და სრულად, უპირობოდ ეთანხმებით წინამდებარე წესებს და PIN კოდის შეყვანამდე “Silk TV”–ს მენიუს შესაბამის ველში/ველებში მოცემულ ინფორმაციას, ასევე აღნიშნულ წესებში /პირობებში/ონფორმაციაში შეტანილ ცვლილებებს/დამატებებს.
6. გაზრდილი პაკეტის/შემცირებული პაკეტის ღირებულების (სააბონენტო გადასახადი) გადახდა, ხდება იგივე წესით, როგორც პირველად არჩეული პაკეტის ღირებულების გადახდა.
7. ნებისმიერი ეჭვის გამოსარიცხად, PIN კოდის ან/და პერსონალური კოდის გამოყენება ნიშნავს, რომ PIN კოდი ან/და პერსონალური კოდი გამოყენებულია თქვენს (აბონენტი) მიერ და შესაბამისად, აღნიშნულის შედეგად დამდგარ ყველა შედეგზე, “სილქნეტის” წინაშე სრულად და უპირობოდ პასუხისმგებელი ხართ თქვენ (აბონენტი).
8. “სილქნეტს” უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე წესები/პირობები ასევე “Silk TV”–ს მენიუს შესაბამის ველში/ველებში განთავსებული ინფორმაცია.